№ 738 შაბათი, 30 იანვარი. 1896—1899 შაბათი, 30 იანვარი № 738

სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., თ.-აზნაურთ ქარვასლა
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციის დილის 8 საათიდგან 12 საათამდე და სადამოს 6—7 „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირ-და-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპეკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели"
тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363

## 1899 წლისათვის მიიღება ხელის-მოწერა

## გაზეთ „ცნობის ფურცელზე"

ფასი წლიურად 6 მან., ნახევარის წლით 4 მან., ერთის თვით 60 კაპ.

სტამბა

## ორთქლით მომუშავე სტამბა

## ექვთიმე ი. ხელაძისა

საპერის ქუჩა საკუთარ სახლებში № 4.

(არსებობს 1873 წლიდამ).

ლიტოგრაფია

სტამბამ ახლათ მიიღო: ახალი სისტემის ორთქლით მომუშავე ბეჭდავი მანქანა დიდი ზომისა, მოწყობილი სათვლელი და საჭრელი ავტომატიური აპპარატებით.

მიღებულია ახალი შრიფტები ჰ. ბერტჰოლდის ასოთ-საჭრელიდამ (ბერლინში) ყოველნაირი ზომისა და სახისა.

მომუშავეთა რიცხვი შევსებულია დახელოვნებული ოსტატებით.

ასრულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს. ბეჭდავს ყველა ადგილობრივი, რუსული და უცხოეთის ენებზე წიგნებს, ბროშურებს, ბლანკებს, იარლიკებს, პლაკატებს, განცხადებებს, აფიშებს, სადარბაზო ბარათებს და სხვ. და სხვ.

საქმის ასრულება დროზედ, სუფთად და ყველასთვის ხელმისაწვდომათ. ტფილისის გარეშეთ შეუძლიან მოგვმართონ ამ ადრესით: Въ Тифлисъ, Типографію Е. Хелададзе. (50—7)

ამბულატორიასთან არის კაბინეტი საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია.

*Лѣчебница В. С. Топурія* въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

—

*** ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გენ.-მაიორი გერშელმანი წავიდა ტფილისიდან.

*** საბაღოსნო სკოლის საქმე. როგორც ისმის, მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ ოცი წლის ვადა მისცა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას ტფილისის საბაღოსნო სკოლის საქმეთა მოსაწესრიგებლად, როგორც სამეურნეო, ისე ადმინისტრატიული მხრით.

*** სახალხო წარმოდგენა. ხვალ, 31 იანვარს, სახალხო კითხვების სადგომში, ავჭალის ქუჩაზე, გაიმართება ქართული სახალხო წარმოდგენა. წარმოადგენენ ჯნ. ბ. ჯორჯაძის კომედიას: „რას ვეძებდი და რა ვპოვე." დასაწყისი საღამოს $7^1/_2$ საათზე.

*** ტფილისის ყასბების თავგასულობა. თუმცა ქალაქის გამგეობამ გირვანქა ხორცის ნიხრად 9 კაპ. დააწესა, ამის მიუხედავად ყასბები გირვანქა ცხვრის ხორცს 12 კაპ. ჰყიდიან.

*** ახალციხის საქმეები. სახელმწიფო საბჭოს უმაღლესად დამტკიცებულ აზრით დადგენილია: 1) 1899 წლიდან დაწყებული, 3 წლის განმავლობაში, მიეცეს სახელმწიფო ხაზინიდან ყოველ წლივ 1,950 მ. ახალციხის ოთხკლასიან საქალაქო სასწავლებელს იმ ფულის ზედ-დამატებით, რომელიც აქამდე ეძლევა მას ხაზინიდან; 2) 1899 წლიდან იმავე ვადით განთავისუფლდეს ქ. ახალციხის ხაზინაში ხსენებული სასწავლებლის დასახმარებლად 1,950 მ. შეტანისაგან; 3) განთავისუფლდეს ეს ქალაქი აგრეთვე ადგილობრივი სასწავლებლის შესანახ დღემდე გადაუხდელ ფულისაგან.

*** ხონის საქალებო სასწავლებლის საქმე. სახელმწიფო საბჭოს უმაღლესად დამტკიცებულ აზრით დადგენილია: 1899 წლის 1 ივლისიდან ხონის საქალებო სასწავლებელი, რომელსაც ინახავს ივ. შარაშიძე, გადაკეთებულ იქნეს მარიამის საქალებო სასწავლებლად.

*** სამრევლო სკოლა ს. გერში. ორთევის საზოგადოების სოფლებს: მიწარეთს, მარაღეთს, შელეურს, კლარწს, გერს, გუჯს, ჯვრივს, კიმასს და სადალეთს ერთხმად დაუდგენიათ საზოგადო ყრილობაზე, რომ დაარსებულ იქმნეს სოფ. გერში ერთკლასიანი სამრევლო-საეკლესიო სკოლა, რომლის შესანახად უკისრიათ ყოველ წლივ 200 მანეთის გადახდა.

*** უგანათლ. თავ. ნ. დ. მინგრელსკის საჩივარი. 28 იანვარს ტფილისის სამოსამართლო პალატის მესამე დეპარტამენტში დანიშნული იყო გასარჩევად საყურადღებო სამოქალაქო საქმე უგანათლ. თავ. ნ. დ. მინგრელსკისა, რომელიც უჩივის ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოს. უგ. თავ. მინგრელსკი მოითხოვს რკინის გზისაგან იმ ზარალის ზღვევას, რომელიც მიაყენა მას რკინის გზამ ქოლადიდის ტყის წალეკვით იმის გამო, რომ უხეიროდ იყო ნაკეთები გზის ლიანდაგი და მდ. რიონის საგუბარი. გზის გაყვანისთანავე, მომჩივანის განცხადებით ჭაობებით მოიფარა, რის გამო წახდა მცენარეულობა და ჰვაც მოიწამლა.

ურებული წმ. ქალწულ მოწმის ბარბარეს ეკკლესიისა (ნავთლუღში), განკარგულებისამებრ ყ.-დ უსამღვდელოესის ეგზარხოსისა ფლავიანესა, უმორჩილესად სთხოვს მრევლთა და მლოცველთა ამა ეკკლესიისა მობრძანდეს 2 თებერვალს 12 საათზე ამორჩევად სამზრუნველო წევრებისა (პოპეჩიტელსტვოსი) და აგრეთვე მნათესი (სტარასტასი), რომელსაც გარნა თავის მოვალეობისა დაედება ვალად, რათა გააუმჯობესონ ყოფილი სამხედრო სასაფლაოც, რომელიც ეხლა აოხრებული.

მღვდელი იოსებ ჩიჯავაძე. (3—1)

ვსთხოვთ ჩვენი „კედლის კალენდრის" გამყიდველებს, რომ უკეთუ მეს დარჩა გაუყიდველი და ამ იანვარშიც დარჩებათ გაუყიდველი ფიქრობენ, დაუყოვნებლად გამოგვიგზავნონ, რომელიმე ჩვენს მაღაზიებში.

ძმ. თავართქილაძეები. (10—10)

იყიდება და ასეიდება ქალაქის ყველა წიგნის მაღაზიებში და ეკლესიებში.

ცხოვრება ღირსისა დედისა

# თეოდორასი

ალექსანდრიელისა

სურათით
მეორე გამოცემა, მორჩილის რაჟდენ ბარამიძის მიერ.
წიგნს შეიცავს 24 გვერდს და ღირს ერთი შაური (10—4)

სამკურნალო და ამბულატორია

# ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქარურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ზ. ა. ზერრატი. დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოზანი.

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ფ. ბაციევიჩი.

თვალების ავადმყოფობას—ი. ა. ვარშავსკი.

სამოსამართლო პალატამ ამ საქმის განხილვა გადადვა 11 თებერვლისათვის, რადგან ამ დღისათვის პეტერბურგიდან მოელიან რკინის გზისაგან წარსადგენ საბუთის ქაღალდებს.

*** **წყლის მილების საქმე.** რადგან სახლისა და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა პატრონები ყოველ დღე სთხოვენ ქალაქის გამგეობას, გაამრავლეთ წყლის მილები, რომ ჩვენც პირდაპირ შეგვეძლოს წყლით სარგებლობაო, ამის გამო ქალაქის გამგეობამ მიანდო გამგეობის წევრს თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილს შეიმუშავოს რაც შეიძლება საჩქაროდ პროექტი ქალაქის წყლის მილების გამრავლების შესახებ.

*** **შინაურ-მრეწველობის საქმე კავკასიაში.** როგორც ისმის, მიწადმოქმედების მინისტრის განკარგულებით ამ მოკლე ხანში, ამავე მინისტრის რწმუნებულის ი. ს. მედვედევის მონაწილეობით, არსდება საშინაო-მრეწველო კომიტეტი კავკასიაში შინაო მრეწველობის შესასწავლად და იმ ზომების შესამუშავებლად, რომლებიც ხელს შეუწყობენ კავკასიაში შინაო-მრეწველობის განვითარებას.

*** **ქ. ოზურგეთი.** თავისუფალი ექიმთა წარმოების ამხანაგობის წლიური კრება. როგორც მოგეხსენებათ, ყოველ წლის დამლევს ამხანაგობა ახდენს კრებას, რომ გაიგონ, თუ რა გააკეთა ამხანაგობამ მთელი წლის განმავლობაში, აგრეთვე, თუ საჭიროა, ამოირჩიონ ახალი მმართველები და სხვ.

წელსაც, 23 იანვარს დანიშნული იყო კრება. თვით ამხანაგობის კანტორაში ოთხის ნახევარზე თუ ხუთ საათზე ხალხი მოგროვდა და ბ. ნ. თავდგირიძის თავმჯდომარეობით გაიხსნა კრება. კრების დაწყებამდის ზოგი იმ აზრისაც აღმოჩნდა, რომ კრება გადადებულიყო, თუ კანონიერ არ იქმნებოდა, მაგრამ რა გაიგეს, რომ წევრები საკმაო იყვნენ, საქმეს შეუდგნენ. პირველად წაიკითხა ამხანაგობის მმართველმა დ. ცეცხლაძემ ყოველივე ანგარიში დაწვრილებით, თუ რა შემოვიდა, რა დაიხარჯა, რა შეიძინა ამხანაგობამ მთელი წლის განმავლობაში და წმინდა მოხაგებიც რა დარჩა. მაგრამ ჯერ სარევიზიო კომისიის მიერ ანგარიშის გამოკვლევამდე სტატისტიკური ცნობები არ მოგვყავს.

თავმჯდომარე. ბატონებო! ჩემის აზრით, ეხლა საჭიროა, შეუდგეთ ახალი სარევიზიო კომისიის წევრების ამორჩევას; დაასახელეთ ვისაც ვინ გინდა.

ვ. ხუნდაძე. რაც შეეხება სარევიზიო კომისიის წევრების ამორჩევას, უმჯობესია ამოვირჩიოთ ისინი. რომლებიც შარშან იყვნენ, რადგანაც მათ იციან შარშან როგორ დაავასეს და წელსაც როგორ დააფასონ. ერთი მეც ვიყავი შარშან ამორჩეული და წელსაც სინიდისიერად შევასრულებ მგონია, თუ თქვენც თანახმა იქნებით.

ხმები. კი, კი! უსათუოდ ერთად ხუნდაძე უნდა დარჩეს. დ. ცეცხლაძე ხუნდაძის თანახმაა და თან აცხადებს, რომ ძველებს ორი ახალი მიემატოს. (ხმაურობაა).

თავმჯდომარე. ჩემის აზრით, ბატონებო, წევრების ამორჩევა კენჭის ყრით უფრო კანონიერია.

ხმები. არ გვინდა! დიდხანს გასტანს. მხოლოდ დაინიშნოს ახალი რევიზიის წევრები.—ბოლოს თანხმდებიან და უკენჭოთ ირჩევენ ოთხს ძველებს და ოთხს ახლებს. სია სარევიზიო კომისიის წევრებისა: ვ. ხუნდაძე, ს. ქეიშვილი, დათა გოგიბერიძე, გ. გიგინეიშვილი, ა. მიქელაძე, ს. ვაშალომიძე, ს. მენაბდე და დ. მურვანიძე.

ამის შემდეგ თავმჯდომარემ წაიკითხა თხოვნა ამხანაგობაში მოსამსახურე პირებისაგან წარმოდგენილი, რომ მათ მიეცეთ „მისაჭმელი“, როგორც დანიშნული იყო ამხანაგობის გახსნიდგან. ამ საქმის გადაწყვეტა შემდეგისათვის გადიდვა. ეხლა თავმჯდომარე კითხულობს წევრებისადმი მიმართულ წინადადებას, რომ დღეიდგან ეს ამხანაგობა, გადაეცეს ყოველივე ცოდნით აჭურვილს და ამ საქმისათვის დაუფასებელს თვით-მმართველობას, რადგანაც ის უფრო იზრუნებს მისთვის, ვინემ გარეშე პირები, შესცვლის ყოველივე წესდებებს, შეადგენს წესებს და ინსტრუქციებს. (ხმაურობაა—წინადადებას ეჭვის თვალით უყურებენ).

ს. მენაბდე. ვინ დაწერა მაგი?! ვისი შედგენილია მაგი წინადადება? (სიჩუმეა).

ხმები. ვინ შემოიტანა, ვინ? რატომ აქამდის არ ვიცოდით მაგი ჩვენ?!

დ. ცეცხლაძე (მმართველი). ბატონებო! რად გეინტერესებათ, თუ ვისი შედგენილია წინადადება? ვთქვათ, რომ ზეციდგან ჩამოვარდა. ჩვენ მხოლოდ წინადადება განვიხილოთ.

თავმჯ. თუ ძალიან გეინტერესებათ, ეს წინადადება საკუთრად ჩემი შედგენილია. ეს აზრი მე მინდოდა თქვენთვის შარშანდელ კრებაზე მომეხსენებია, მაგრამ მოუხერხებლად ვსცანი. დღეს კი იმედი მაქვს, რომ ამ წინადადებას ყურადღებას მიაქცევთ, კარგად განიხილავთ, ასწონ-დასწონთ, თქვენი სინიდისის თანახმად გაარჩევთ და თქვენს აზრს გამოსთქვამთ, ვინაიდგან ეს საქმე ჩვენი ამხანაგობისთვის დაუფასებელი იქმნება. მართალია, გურიაში დღითი დღე ვრცელდება სხვა და სხვა ამხანაგობაები, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ არის დამყარებული სასურველ ნიადაგზედ, ამიტომ ხშირად იკარგვის და იფანტება საზოგადოების საქმე. ამ ამხანაგობის წესდების შედგენა წელს მომანდვეს მე. მეც ბევრი ვეცადე, მაგრამ არაფერი არ გამოვიდა, რადგანაც პირველად საჭიროა აქციონერული დამტკიცება. დღეს ეს ამხანაგობა არის დამყარებული ნდობაზედ. ჩვენ ვირჩევთ სანდო პირებს და იმათ ვანდობთ მთელი წლის განმავლობაში ყოველივე წარმოებას ამხანაგობისას, მაგრამ ამნაირი ნდობა ვერ არის მაინცა და მაინც სანდო, რადგანაც სულ ადვილი მოსალოდნელია საქმის არევ-დარევა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამხანაგობა გადაეცემა თვით მმართველობას და დამტკიცებული იქმნება აქციონერულად, მაშინ, რასაკვირველია, ბევრად უფრო სანდო იქმნება და შეიძლება გააფართოვოს თავისი მოქმედება. აიღებს ფოსტას, სადაც წლიური მოსაგები გვექმნება 6000 მანეთი, დღეს კი ეს ფული ჩვენთვის დაკარგულია, რადგანაც ერთობა და თანხმობა ჩვენ შორის სუსტად არის. აქ არაფერი კერძო ინტერესი არ გამოიხატება, როგორც ბევრს თქვენგანს ჰგონია. მე მინდა მხოლოდ საქმე გაუმჯობესდეს, ამხანაგობა იყოს გაფართოვებული და ვრცელ ნიადაგზე დამყარებული. ამის ერთად ერთი საშვალება არის ის, რაც ეხლა თქვენ მოგახსენეთ; ვიმეორებ, რომ აქ არაფერ კერძო ინტერესებს ადგილი არა აქვსო, ამიტომ, იმედი მაქვს, თანახმა იქმნებით ამ ჩემი წინადადებისა.

ს. ჭეიშვილი. კარგი და პატიოსანი, ამის პასუხი ასე ერთობ არ გადაწყდება, საჭიროა პირველად წესდების შემუშავება ამორჩეული პირებისაგან.

გ. გიგინეიშვილი. როცა ამხანაგობა გადაეცემა თვით მმართველობას, ჩვენ ხმა და უფლება ხომ ის გვექმნება, რაც დღეს გვაქვს თუ არა?

თავმჯდომარე: თქვენ მაშინ უფრო შეგეძლებათ მოითხოვოთ ყოველივე ანგარიში დაწვრილებით, ვინემ დღეს.

ს. მენაბდე. ვისი საქმე იქნება მმართველობის ამორჩევა?

თავმჯდომარე. გამგე პირებს ამოირჩევს ე. ი. დაიქირავებს თვით მმართველობა: რომელსაც შეიძლება, თუ საჭიროდ დაინახავს, გამოსცვალოს, როცა უნდა, და ისე, როგორც ჩვენ დღეს.

ს. მენაბდე. რასაც ბ. თავმჯდომარე ამბობს შეიძლება ო... იყოს, მაგრამ სანამ მაგ წინა... დების პირს არ განვიხილავთ და... რილებით, ისე ეხლა არაფ... პასუხის მოცემა არ შეგვიძ... (ხმაურობაა).

თავმჯდომარე ხელმეორედ ... ხოვს სიზოგადოებას, რომ საქ... კარგად ჩაუკვირდენ.

ს. მენაბდე. მოგვეცეს, მოგვე... პროექტის პირი, რომ გარდაწ... ტილი აზრი წარმოვსთქვათ შ... დეგ კრებაზედ (ყვირილია—ერ... ძალიან ჯავრობს) ხმები. არ გვ... და, არ გვინდა.

ვ. ქადიეშვილი. არც ეს პრო... ტია საჭირო და არც ამხანაგო... გადაცემა. ჩვენ დღემდის თუ... ვუვლიდით ამხანაგობას, დღე... კი მოუვლით (ხალხში ხმა-მაღ... ლაპარაკია— არაფერი არ ისმ...

თავმჯდომარე.: ბატონებო! ჩუმდით; გამოაცხადეთ თქვენი ... რი. მე ვიცი, რომ თქვენ ყვე... არა გაქვთ გაგებული, თუ რა ... რითა არის ეგ წინადადება წა... გენილი? ამის შემდეგ დ. ცეც... ლაძემ წაიკითხა დაბა ნაგომრი... გან შემოტანილი თხოვნა, სად... თხოულობდნენ რომ ოზურგე... და ნაგომარს შუა საჭიროა ფ... ტონების მიმოსვლაო.

ხმები. ბატონებო! ამაზე ლ... რაკი მეტია.—თხოვნის წაკით... აღარ დააცალეს, მაგრამ თავმჯდ... მარემ ზეპირად განუმარტა ხა... თხოვნის შინაარსი. არც ერთი ... თხვა არ გარჩეულა, და კრ... გადადებულ იქმნა ექვსი თებე... ლისათვის.

## თეატრის მატიან...

—

**ქართული წარმოდგენა.** ხუთ... ბათს, 28 იანვარს, ქართუ... დრამატიული საზოგადოების ... ტისტებმა ს. სვიმონიძის საბე... ფისოდ წარმოადგინეს ალ. ყა... გის დრამა „კონსტანტინე ბატ... ნიშვილი“, ანუ „წამება ქეთ... დედოფლისა“. დრამის შინაა... მოკლედ შემდეგია:

კახეთის მეფის დავითის ძმა... ტონიშვილს კონსტანტინეს გ... ცებით უყვარს თავისი რძა... დედოფალი ქეთევანი, და ... დაწყვეტილი აქვს დაეპატ... ნოს მას. კონსტანტინე ... ნად დაბრმავებულია სიყვარულ... რომ ის თავისი გადაწყვეტილ... განსახორციელებლად არ ზოგ... არავითარ საშვალებას: ჰლა... ტობს სამშობლოს და სარწმუ... ებას, მიდის სპარსეთის შაჰთა... უმეგობრდება მას, იცვლის რჯუ...

...შემდეგ შემოდის საქართვე-
...ოში სპარსეთის ჯარით იმ მიზ-
...ით, რომ დაიპყრას კახეთი და
...თან ერთად ხელში ჩაიგდოს
...თევანი. მაგრამ ჯერ სანამ კო-
...ტანტინე ომით მიაღწევდეს ამ
...ნს, სხვა საშუალებას სცდის: ის
...ში გაიტყუებს სანადიროდ თავის
...ს დავითსდა მამას კონსტანტინეს,
...ითომ იმ განზრახვით, რომ გადა-
...ს მათ შახისაგან მონდობილი
...დეშლოება, მაგრამ ტყეში ის
...კლავს ორივეს, მამასაც და
...ძასაც. ამის შემდეგ კონსტანტი-
... ბატონიშვილი წინადადებას
...ლევს ქეთევანს, ტახტის მემკვი-
...რე მე ვარ, მე უნდა გავხდე კა-
...თის მეფედ და შენ ჩემი ცოლი
...და შეიქმენო. ქეთევანს ქმრის
...ვდილის შემდეგ გადაწყვეტილი
...ონდა მონასტერში შესვლა და
...ცა დიდიბულნი ევედრებოდ-
... მას უარეყო თავისი გადაწყ-
...ილება და ტახტი დაემკვიდრე-
...ა, ის მაინც მედგრად ადგა თა-
... გადაწყვეტილებას და გადაჭრ-
...უარს ამბობდა მეფობაზე. მაგრამ
...ტონიშვილის წინადადების შემ-
...გ, რაკი დარწმუნდა, რომ სამ-
...ბლოს კონსტანტინესაგან გან-
...ცდელი მოელის და რომ კონს-
...ტინეს ასალაგმავად აუცილებ-
...ლ საჭიროა ომი, ქეთევანი კი-
...ლობს მეფობას და კონსტან-
...ნეს ომს გამოუცხადებს. ომში,
...მელსაც წინამძღვრობს თვით
...თევანი, ხელში ჯვარით და საო-
...დ შეიარაღებული, ქართველე-
... დაამარცხებენ სპარსელების
...ს და კოსტანტინეს მძიმედ
...სჭრიან. რაკი კოსტანტინე თა-
... საკუთარი ძალღონით ვეღარ
...დება, შემდეგ სპარსეთის შაჰს
...ხოვს და მისი შემწეობით
...ლობს ქეთევანის ცოლად შე-
...ვას. შაჰი იმ იმედით, რომ კო-
...ტანტინეს დახმარებით, კახეთს
...იპყრობს, შეიძენს ძვირფას „ბუ-
...რიც სიმაგრეს“ და სხ. ჰპირდე-
... კონსტანტინეს შემწეობას და
...ებს თავისთან ქეთევანს, რო-
...ც კიდეც მიდის მასთან. შაჰი
...ელ დანახვაზევე მოიხიბლება
...ევანის სილამაზით, ავიწყდება
...სი დაპირება კოსტანტინესთან,
...თონვე მოინდომებს ქეთევანის
...ში ჩაგდებას და წინადადებას
...ევს მას, ჩემთან წამოდი სპარ-
...ში და სპარსეთის დედოფლად
...ლიო. ქეთევანი, რასაკვირვე-
..., სასტიკ უარს ეუბნება შაჰს
... წინადადებაზე, და ბოლოს
... შაჰს ყოველი ცდა ამაოდ
...ლის, ის აწამებინებს და ცე-
...ში დააწვევინებს ქეთევანს,
...ელიც უშიშრად და მხნედ
...ტანს წამებას...

...ამის შინაარსი ფრიად საყუ-
...რადღებოა იმით, რომ მას საფუძვ-
ლად უდევს ერთი იმ დიდებულ მომენტთაგანი ჩვენის ისტორიისა, როდესაც საქართველოს ბედი შავბნელით ყოფილა მოცული, მაგრამ სამშობლოსათვის თავდადებულ და საარაკო გმირულ ბრძოლას ბრწყინვალე შარავანდედივით გაუშუქებია ხოლმე საქართველოს სასიქადულო ძენი. „კონსტანტინე ბატონიშვილში“ ბლომად ვხედავთ სწორედ ასეთ სასიქადულო ძეთ, მაგრამ განსაკუთრებით ხიბლავს მაყურებელს ნათელ-მოსილი პიროვნება ქეთევან დედოფლისა, რომელიც სამართლიანად უნდა ჩაითვალოს ჩვენი ძველი სასიქადულო დედების ერთ ერთ ტიპიურ წარმომადგენლად: ამ პიროვნებაში თავმოყრილია ძველი ქართველი ქალის ყველა იშვიათი ძვირფასი ღირსება, რომელთა შორის ყველაზე უფრო საყურადღებოა: სამშობლოსადმი უძლიერესი სიყვარული, მისთვის და სარწმუნოებისათვის გმირულად თვის განწირვა და სათნოება.

რაც შეეხება თვით წარმოდგენას, მან საზოგადოდ ცოცხლად ჩაიარა. ქეთევანის როლი ქ-ნმა ე. მესხმა ჩვეულებრივი ხელოვნებით შეასრულა. ბ. ყიფიანისაგან მოველოდით უკეთეს შესრულებას კონსტანტინე ბატონიშვილის როლისას, მაგრამ მისმა თამაშმა მაინც კარგი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე. ლამაზად ჩაატარა თავისი როლი (ქაიხოსრო) თვით მოპენფეისემ ბ. სვიმონიძემ, რომელსაც საზოგადოებამ რამდენიმე ძვირფასი საჩუქარი უძღვნა. სხვა არტისტებიც საკმაოდ მარჯვედ იყვნენ თავიანთ როლებში, განსაკუთრებით, ბბ. შათირიშვილი და გედევანოვი.

?!?

## სამეურნეო ცნობა

### მცენარეთა მეტყველება (ბოტანიკა)

(შემდეგი *)

ვარდი. (ქართული, იმერული), ვარდენი (სომხური), გიულ (თათრული), ბაგარდ-გოდ, კაგაბ-გოდ (ლეკური), ეგილ (აფხაზური), როზა (რუსული), როზა ცენტრიფოლია (ლათინური), ხუთასზე მეტი სხვა და სხვა ჯურისაა, რომლებიც ერჩევიან ერთი-ერთმანეთს: ყვავილით, სუნით, ფერით, ფოთლებით, ეკლებით, ყლორტებით, სიმაღლით, დრო აყვავებისა, დამცენარის აგებულებითი. მცენარე შინაურია, უყვარს ფხვიერი, ნოყიერი და სასუქიანი მიწა, ხმელ ნიადაგს და ცხელ ჰავას ვერ იტანს, სიცივისა ისე არ ეშინიან, იტანს 10—20 გრად. სიცივეს. ეს მცენარე შესანიშნავია თავისი მშვენიერი და ათასფერ სხვა და სხვა ყვავილებით, რის გამო ყველგან ეზოებში, ბაღებში და ყვავილნარებში უჭირავს უპირველესი ადგილი. მათში იმისთანა ჯურის ვარდები იმყოფებიან, რომ ვაზსავით ადის მაღლა, ეხვევა მთელ შენობებს, ამისთანა ჯიშის ვარდებს ხმარობენ ბერდკების (ბერდკების და შენობების მოსართავად ხმარობენ შესანიშნავ ვარდს ბანკრიას. Rosa bankssi) მოსართავად. ამისთანა ჯურის ვარდები ირიცხებიან ბუჩქებიან მცენარეებში, რადგანაც ქართულ ენაზე არა გვაქვს გადმოთარგმნილი და დასახელებული ვარდების სახელები, ამისათვის მე დავასახელებ ფრანგულათ ლათინურ ასოებით, ზოგიერთ შესანიშნავ ვარდების სახელებს, მოკლე აღწერით.

1. Rosa gallica (ვარდი გალლიკა). მცენარე სიმაღლით იზრდება ოთხას არშინამდისინ, ყვავილი მოწითალო სოსანო ფერისაა, მშვენიერი სუნისაა. ყვავის წელიწადში ერთხელ, თითო ყლორტზე იმყოფება სამი ყვავილი (бутонъ), იტანს ოც გრადუსამდის სიცივეს.

2. Rosa muscosa (ვარდი მუსკოზა). ეს ვარდი სიმაღლით და აგებულებით ცოტათი ჰგავს პირველს, მაგრამ შეხედულობით ამის ყვავილი თითქმის რამდენიმე ფერისაა, თითო ყლორტზე ითვლება ხუთამდისინ ყვავილი, მის ფოთლები გარედან შემოსილია ძალიან წვრილ ეკლებით, მის ტოტებიც შემოსილია ხშირი და წვეტიანი ეკლებით. ყვავილი კარგი სასიამოვნო სუნისაა, ყვავის წელიწადში ერთხელ, იტანს ოც გრადუსამდინ სიცივეს.

3. Rosa centifolia (ცენტიფოლია). მცენარე იზრდება ორ არშინის სიმაღლით, აქვს წვრილი ტოტები, რომლებიც შემოსილნი არიან პატარა ეკლებში, თითო ყლორტზე იმყოფება ერთიდან დაწყებული სამამდისინ ვარდი. იცის თეთრი, მუქ-თეთრი და ჯიგრის ფერი ყვავილები ყვავის წელიწადში ერთხელ, იტანს ოც გრადუსამდინ სიცივეს.

4. Rosa lutea (ლუტეია). ამ ჯურაში ყველაზე კარგი ყვითელი სპარსული, წვრილი ტოტებით და ეკლებით, თითო ყლორტზე იმყოფება თითო ყვავილი. ყვავის წელიწადში ერთხელ, იტანს 20 გრადუსამდისინ სიცივეს.

5. Rosa bifera (ремонтантная—ბიფერა). მცენარე ღონიერი აგებულებისაა, რის გამო აქას ღონიერი ტოტები, რომლებიც შემოსილნი არიან მომსხვილო ეკლებით. თითო ყლორტზე იმყოფება ორიდან დაწყობილი შვიდამდისინ ყვავილი, მშვენიერი სუნისაა. აქვქს მსხვილი მუქი მწვანე ფერის ფოთლები, ყვავის წელიწადში ორჯელ ხან სამჯერ, იტანს ათ გრადუსამდისინ სიცივეს.

6. Rosa indica fragrans theia (Чайная) (ინდიკა ფრაგრანს ტეია) რამდენიმე ჯურისაა. ზოგი მათში ღონიერი ზოგი სუსტის აგებულებისა, თითო ყლორტზედ იმყოფება თითო ყვავილი, მშვენიერი სუნისაა, სხვა-და-სხვა ფერისა, ხან მუქ ყვითელ ფერისაა. ხან მუქ ვარდის ფერისაა, აქვს წვრილი ტოტები, რომლებიც შემოსილნი არიან მომსხვილო და ხშირი ეკლებით, ყვავის წელიწადში სამჯერ-ოთხჯერ იტანს ცხრა გრადუსამდისინ სიცივეს.

7. Rosa indica maior (ინდიმაიორ) სიმაღლით იზრდება სამ არშინამდისინ, იცის ხშირი მუქ მომწვანო ფოთლები, თითო ყლორტზედ იმყოფება ხუთამდისინ, ყვავილი, ყვავის წელიწადში ერთხელ, იტანს ცრა გრადუს სიცივეს.

8. Rosa indica semperflorens (ვარდი სემპერფლორენს) მცენარე იზრდება სიმაღლით რვა ვერშოკიდამ დაწყებილი სამ არშინამდისინ, ყვავილი ისხება ხან ერთ წლოვან, ხან ორ წლოვან ყლორტებზედ, თითო ყლორტზედ ერთიდგან დაწყებილი ხუთამდისინ, თეთრი, ვარდისფერი და ჯიგრის ფერის ყვავილები, არა აქვს შესანიშნავი სუნი, ყვავის წელიწადში სამჯერ-ოთხჯერ, იტანს ცხრა გრადუსამდისინ სიცივეს.

9. Rosa noisettiana (ვარდი ნოიზეციანა) ღონიერი აგებულებისაა, თითო ყლორტზედ იმყოფება ორიდგან დაწყებილი ოცდა ათამდისინ ყვავილი, აქვს თეთრი, ყვითელი და სპილენძის ფერი ყვავილი, ყვავის წელიწადში ორჯელ, იტანს ცხრა გრადუსამდისინ სიცივეს.

10. Rosa barbonica (бургонская)—ბარბონიკა) მცენარე იზრდება ოთხ არშინის სიმაღლით, ღონიერი აგებულებისაა, აქვს მსხვილი ტოტები და ფოთლები, ტოტები შემოსილია მსხვილი ეკლებით, თითო ყლორტზედ იმყოფება ხუთამდისინ ყვავილი, თეთრი, ვარდის ფერი და მუქი ფერის ყვავილები. ყვავის წელიწადში ორჯელ, იტანს ცხრა გრადუსამდისინ სიცივეს. ამ ზემოთ აღწერილ ვარდებს უნდება ერთნაირი მოვლა, ნიადაგი და გამრავლება. მრავლდებიან: გადაწვენით, ფესვების გაყოფით პატარ-პატარა ტოტებით გაზაფხულობით და შემოდგომით, ხოლო ნამყენებით-კი ზაფხულობით. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ნორჩ ვარდის კოკორს

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 733.

ფოთლებს და ყლორტებს უჩნდე-ბა თვალით უხილავი სენი, თითქო ფქვილი შეუყრიათო, თუ ამ სენს დროზედ არ უშველა კაცმა, მცე-ნარეს მალე ესპობა სიცოცხლე. ეს სენი მაშინ უჩნდება ვარდებს, როდესაც ჰაერში დიდი სიცხეა და სისველე; ამ სენის წინააღმ-დეგ ხმარობენ სხვა-და-სხვა წამალს

1) მთელი ბუჩქი შეაშხაპუნეთ წყლით, შემდეგ პატარა საბერვე-ლით შეაყარეთ გოგირდის მტვერი.

2) მცენარეს შეაშხაპუნეთ წყალ-ში მოხარშულ თამბაქოს (მახორ-კის) წვენი.

3) მცენარეს შეაშხაპუნეთ სა-პონ-წყალში გახსნილი თეთრი ნავ-თი. ამ სენს გამოჩენილი ექიმი „რენო“ უწოდებს სახელად Aspergillus albicans (ასპერგილლუს ალბიკანს).

ამ ზემოდ აღწერილ ვარდების გარდა, ოჯახებში შესანიშნავ და გამოსადეგ ვარდათ ითვლება მაი-სის ვარდი, მის ყვავილით ამზადე-ბენ მურაბას, გამხმარ ყვავილს და კუჰებს ხმარობენ წამლათ ავად-მყოფობის წინააღმდეგ, და სხვა-და-სხვა სასმელების შესაზავებლად.

არჩილ დარეჯანაშვილი

(შემდეგი იქნება)

## ამორჩეული აზრები

—

როდესაც ცოლი ქმარს ეჭვიანობას დაუწყებს, ცუდი ნიშანია: მაშინ ის ემზადება ქმრის სადალატოდ.

—

კაცი არ უნდა ენდოს დედაკაცის ერთგულებას; ის კაცი ბედნიერია, რომელიც მას გულ-გრილად უცქერის.

—

კაცის უპირველესი მოვალეობაა იზ-რუნოს თავის გაუმჯობესებასა და გან-კითხებაზე და ეცადოს ყოველის ღო-ნისძიებით ზედ გავლენა მოახდინოს იმ წრეზედ, რომელშიაც ტრიალებს.

—

ცოტაა ისეთი კაცი, რომელსაც ენერგიულად და მტკიცედ გაუტანია საშინელი სიღარიბე, შეურაცხყოფა და დამარცხება; ყველა ამაების ატანა შე-უძლიან მხოლოდ გამბედავ და ხასიათ შემუშავებულ კაცს.

## ყურმოკრული საუბარი

—

— კმაყოფილი ხარ თუ არა, რომ მარტოხელ ცხოვრებას თავი დაანებე და ცოლი შეირთე?

— კმაყოფილი ვარ, მაგრამ...

— როგორ თუ მაგრამ?

— მე დიდად ვწუხარ, რომ როცა ჩემს საცოლეს ხელი ვთხოვე, კინწის კვრით არ გამომაგდეს სახლიდან.

—

— ქალბატონო, ნუ კი გამიწყრებით და უნდა დამითხოვოთ, უნდა გავთხო-ვდე.

— მაშ რად მეუბნებოდი სიკვდილა-მდი შენთან ვიქნებიო?

— ქალბატონო, მე ჩემს სიტყვას არ გადავალ, თუ თქვენ მალე მოკვდე-ბით, მაგრამ თუ სიკვდილი მეტად დაიგვიანეთ, მოცდა აღარ შემიძლია.

# განცხადებანი


IV годъ издания | **„КАЗБЕКЪ“** | IV годъ изданія

## Открыта на 1899 г. подписка

Впредъ до полученія разрѣшенія на ежедневный выпускъ изданія (о чемъ возбуждено ходатайство предъ г. Главноначальствующимъ гражданскою частью на Кавказѣ) газета будетъ выходить по воскресеньямъ, средамъ и пятницамъ.

**Подписная плата для иногородныхъ:**
на годъ=**7** руб., на полгода—**4** руб.

Плата за объявленія со строки петита: передъ текстомъ 10 к. послѣ текста 5 к.

Новые подписчики на 1899 годъ будутъ получать газету въ текущемъ году со дня подписки безплатно. Кромѣ того, новые подписчики получатъ всѣ вышедшія съ 1 октября особыя приложенія, въ которыхъ, въ интересахъ сохраненія мѣста въ газетѣ для текущаго матеріяла, помѣщаются всѣ беллетристическіе, научные и др фельетоны.

О всѣхъ книгахъ, присылаемыхъ въ редакцію, будутъ даваться отзывы.

Подписка принимается въ Главной Конторѣ въ г. Владикавказѣ. (3—3)

## ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1899 ГОДЪ

**(пятьдесятъ-четвертый годъ изданія)**

**на газету**

# „КАВКАЗЪ“.

Съ 1-го января 1897 года „КАВКАЗЪ“ выходитъ подъ редакціей

## В. Л. ВЕЛИЧКО.

Въ 1899 году газета будетъ издаваться по той-же программѣ, какъ и прошломъ году.

Въ „КАВКАЗѢ“ за 1898 годъ помѣщали свои произведенія, между прочимъ, слѣдующіе авторы:

**Агаевъ** Ахмедъ-бекъ; **Баратовъ**, Н. Н. (военныя замѣтки); **Бербас**... Г. Г. (стихотв.); **Вакели** (псевд.); **Венюковъ**, М. И. („Англичане за Индо... „Думъ-думскія пули“, „Изъ Японіи и Кореи“, „Современные флоты“, „... шода“ и другія статьи); **Восторговъ**, О. І.; **Варапаевъ**, В. И.; **Воропо**... М.; **Вейденбаумъ**, Е. Г. („Арестъ Грибоѣдова“, „Александръ Бестужевъ ... „Кавказѣ“, „Графъ Евдокимовъ“ и т. д.); **Велико**, В. Л.; **Веселовскій**, А. ... академикъ („Царица Тамара въ народныхъ легендахъ и у Лермонто... и др.); **Вишневскій-Черниговецъ**, Ф. В. (стих.); **Ганъ** К. Ө.; **Геевскій**, В. ... **Гнѣдичъ**, П. П. („Казусъ“, разсказъ); **Джанашвили**, М. (по грузинской ар... олог. и церковн. исторіи); **Джигитъ** (псевд.); **Докучаевъ**, В. В. профессо... („Почвенныя зоны“ и др. ст); **Дрбоглавъ**, І. Ф.; **Жаба**, А. К. („Леопард... **Извольскій**, Н.; **Коринфскій**, А. А., редакторъ журнала „Сѣверъ“ (стихот... **Кочарлинскій**, Фридунъ бекъ (объ арабской азбукѣ); **Ф.-Кульбергъ**; ... **Климанъ**, Ф. Л.; **Клаусенъ**, А. Э.; **Лебедевъ**. В. П. (стих. и разск.); **Лейс**... А. А. („Пьеръ Лоти“, „Генр. Ибсенъ“ и др.); Lex (псевд.); **Лохвицкая**, М. ... (стих.); **Макаровъ**, Н. Н; **Марчъ** (псевд); **Массоно**, Мерль-де; **Меликъ-Ба**... **хановъ**; **Мирзаевъ**, Мирза-Шерифъ; **Михеевъ**, В. М. („Нѣсколько лист... бумаги“); **Мишинъ** (Московск. очерки); **Мордвинъ** (Петербургск. письма); **М**... **довцевъ**, Д. А. („Кисловодскъ—это рай“); **Мостовичъ**, д-ръ Ч. Р. (рядъ ... учн. статей и замѣтокъ); **Натроевъ**, А. Н.; **Натуралишвили** („Любитель... ца“, „Шени-чиримэ“. „Шенъ-генацвалэ“) Needle (Ш—евъ, Н. И); ... **плотовщикъ** (статьи о незаконномъ сборѣ съ плотовщиковъ); **Никифор**... Н. К.; **Пантюховъ**, д-ръ И. И. („Вліяніе маляріи на колонизацію Кав... за“ и др. ст.); **Пастуховъ**, А. В. („Восхожденіе на Эльбрусъ“); **Р**... (рядъ статей по вопросамъ экономическимъ и общественнымъ); **Ра**... д-ръ Г. И. („Сила растительности въ Мервскомъ оазисѣ“); **Савицкій**, ... К.; **Сегаль**, І. Л.; Saldo („Экономическіе наброски“); **Свѣтловъ**, В. („П... хальный звонъ“, разск.); **Сидоровичъ** („Бесѣды о взаимопомощи“); ... **бенниковъ**, В А. („Сибирякъ-студентъ въ Америкѣ“); **Соловьевъ**, Вл. ... Серг. (стихотв.); **Случевскій**, К. К. главный редакторъ „Правительст... наго Вѣстника“ („Полусказка“, разсказъ); **Спѣшневъ**, Н. Н.; **Тихоновъ**. Вл. ... **Усова**, Ал. С; **Френкель** А. С.; **Хахановъ**, А. С. (Библіогр. ст.); **Хитро**... Г. М. (стих.); **Цагарели**, А. А., профессоръ („По вопросу о реставр... Мцхетскаго собора“); **Церетели** кн. А. Р. („Отвѣтъ Н. Я. Марру“); **Чер**... **скій**, Ф. А. (стих.); **Черниковъ**, М. И. (статья о Бѣлинскомъ и др.); **Энге**... **гардтъ**, А. Н. (†). профессоръ („Объ изученіи естеств. услов. русск. ... лед.“ и т. д.); **С. и Б. Зсадзе** и мн. др.

Изъ многихъ столичныхъ и мѣстныхъ авторовъ, обѣщавш... свое сотрудничество „Кавказу“, *уже прислали* рукописи:

**Венюковъ**, М. М.; **Вейденбаумъ**, Е. Г. („Ермоловъ и Паскевичъ“); ... **бовскій**, В. А. („Сѣренькое существо“, разсказъ изъ студенческой жи... **Горькій**, N. („Свиданіе“); **Дингельштедтъ** (рядъ статей по научн. во... **Жаба**, А. К.; **Лейстъ**, А. А („Кн. И. Г. Чавчавадзе, какъ поэтъ“ и др. ... **Макаровъ**, Н. Н. („Послѣдняя любовь Тараса Шевченко“); **Михеевъ**, В. ... („Ложь“ и др. разск.); **Мордовцевъ**, Д Л. („Кавказская плѣнница“, разс... **Владиміръ С. Соловьевъ** („Изъ воспоминаній“); **Тихоновъ**, Вл. Ал. („... *Крумби* съ птичьяго полета“, республиканская фантазія) и др. О даль... шемъ полученіи рукописей мы будемъ извѣщать нашихъ читателей.

**Отдѣлъ телеграммъ** отъ нашего столичнаго корреспондента, ... это, вѣроятно, замѣчено читателями, **значительно расширенъ**.

Попрежнему будутъ помѣщаться корреспонденціи изъ обѣихъ ... лицъ и изъ за границы, очерки столичной жизни, „*Откровенныя* ... *чи*“ **В. Л. Величко**, „*Брызги*“ **Джигита** и воскресные фельет... („*Арабески*“) **Бинокля**.

**Подписная цѣна остается безъ измѣненія, а именно:**

| Съ доставкою въ Тифлисѣ: | | Съ пересылкою иногороднымъ: | | По почтовому союзу: | |
|---|---|---|---|---|---|
| На годъ . . . | 11 р. 50 к. | На годъ. . . . | 13 р. — | На годъ. . . . | 18 р. |
| „ ½ года . . . | 6 р. — к. | „ ½ года . . . | 7 р. — | „ ½ года . . . | 10 р. |
| „ 3 мѣс. . . . | 3 р. 50 к. | „ 3 мѣс. . . . | 4 р. — | „ 3 мѣс. . . . | 6 р. |
| „ 1 мѣс. . . . | 1 р. 50 к. | „ 1 мѣс. . . . | 1 р. 75 к | „ 1 мѣс. . . . | 2 р. |

Разсрочка допускается для годовыхъ подписчиковъ по соглашенію съ ред... причемъ иногородными вносится по 3 руб.: при подпискѣ, 1-го марта и 1-го ма... 2 руб.— 1-го іюля и 1-го сентября; городскими въ тѣ же сроки: 3 р., 3 р., 2 р. и 1 р. 50 к.

Контора „Кавказа“, **во избѣжаніе недоразумѣній, проситъ** г. **иногородныхъ подписчиковъ точно опредѣлять** въ случаяхъ высы... денегъ менѣе 13 рублей (цѣна годовой подписки), желаютъ ли они ... лучать газету **въ разсрочку, или на сроки**, соотвѣтствующіе присы... емымъ суммамъ.

NB Подписка и объявленія принимаются по нижеслѣдующ... АДРЕСУ:

**Г. Тифлисъ, Эриванская площадь, домъ Харазовой.**

Тамъ же принимается подписка на телеграммы „Россійскаго ... леграфнаго агентства“.

**Плата за объявленія** (со строки петита или занимаемаго ею мѣста ... *послѣднихъ страницахъ*: съ мѣстныхъ объявленій (кавказскихъ)—8 ... съ прочихъ—10 коп. за каждый разъ. На *первыхъ страницахъ*—в... За большія или многократныя объявленія по соглашенію. За разсылку ... быхъ приложеній 10 рублей съ тысячи.

*Частныя объявленія изъ С.-Петербурга, Москвы, Царства По... го, Прибалтійскаго края и изъ за границы принимаются исключит... въ Центральной конторѣ объявленій торговаго дома Л. и Е. Мет... Кº въ Москвѣ (Мясницкая, домъ Сытова и въ его отдѣленіи въ С.-Пе... тербургѣ (Морская № 11).*


Дозволено цензурою. Тифлисъ, 29 Января 1899 г. სტ. „ცნ. ფურც.“ (ვ. ბუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი ვ.